## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N87/2 ხელშეკრულების დამატება N1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2013 წლის 9 სექტემბრის N87/2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. ხობი 8 ნოემბერი 2013წ

წინამდებარე ხელშეკრულების დამატება შედგენილია 2013 წლის 8 ნოემბერს, ერთის მხრივ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში ,,შემსყიდველი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გოჩა ქაჯაიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,სახლმშენი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის გიორგი ბერაიას სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2013 წლის 9 სექტემბრის N87/2 ( სოფელ შავღელეში საბავშვო ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა) ხელშეკრულების შესაბამისად.

მხარეების მიერ გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისათვის შექმნილი კონტროლის ჯგუფის უფროსის ბადრი ჯობავას მოხსენებითი ბარათით (10/2480 6.11. 2013წ.), წარმოდგენილი კონტროლის ჯგუფის დასკვნა, სადაც აღნიშნავენ, რომ კონტროლის ჯგუფის მიერ განხილულ იქნა შპს შპს ,,სახლმშენი" -ს მიერ წარმოდგენილი წერილი (N07/1309 4.11.2013 წ ) რომელშიც მიმწოდებელი ითხოვს ბუნებრივი ხელსშემშლელი პირობების (ძლიერი წვიმები) გამო სამუშაოების მიწოდების ვადის შეცვლას, რაც დადასტურებული აქვს გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხილვის შემდეგ კონტროლის ჯგუფის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება და შესაბამისად

**მხარეები შევთანხმდით შემდეგზე:**

**1 . შეიცვალოს 2013 წლის 9 სექტემბრის N87/2 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

**მუხლი 4. „სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი"**

4.1 სოფელ შავღელეში საბავშვო ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 30 ნოემბრამდე.

**2. შეიცვალოს 2013 წლის 9 სექტემბრის 87/2 ხელშეკრულების მე-18 მუხლის 18.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

18.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ხელშეკრულების დამატება 2013 წლის 9 სექტემბრის N87/2 ხელშეკრულების დანამატს და მის განუყოფელ ნაწილს.

5. წინამდებარე ხელშეკრულების დამატება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებლთან, სამი ეგზემპლარი _ შემსყიდველ ორგანიზაციაში.

6. ხელშეკრულების დამატება N1 ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

7. წინამდებარე ხელშეკრულების დამატება N1 შედგენილია მხარეების მიერ, რასაც ვეთანხმებით და ვაწერთ ხელს.

საფუძველი:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისათვის შექმნილი კონტროლის ჯგუფის უფროსის ბადრი ჯობავას მოხსენებითი ბარათი (10/2480 6.11. 2013წ).

ცვლილება შეთანხმებულია:

1. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ა. ვარდია

2. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ჭოჭუა

3. გამგეობის საფინანსო –საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: ბ. შუნია

4. ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: შ. სირაძე

მხარეთა ხელისმოწერა და ბეჭედი:

„შემსყიდველი“

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობლის მოვალეობის შემსრულებელი

გოჩა ქაჯაია

„მიმწოდებელი“

შპს „სახლმშენი“-ს დირექტორი

გიორგი ბერაია